

განმარტებითი ბარათი

„უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზია:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგიერთი ფუნქციის გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოზე;
- კანონპროექტის შემუშავება გამოწვეულია იმ პირთა ინტერესების დაცვის მიზანშეწონილობით, რომელთაც სურვილი აქვთ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე მიიღონ ელექტრონული ფორმით განათლება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ელექტრონული სწავლების შემოღება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგიერთი ფუნქციის გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად:

- საქართველოში მცხოვრებ პირებს ეძლევათ საშუალება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე მიიღონ ელექტრონული ფორმით განათლება.
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს გაატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი. კერძოდ ელექტრონული სწავლების შემოღების შედეგად დღის წესრიგში შეიძლება დადგეს ელექტრონული სწავლების განხორციელებისათვის დამატებით აკადემიური პერსონალის აყვანის აუცილებლობა ან მოქმედ ლექტორებისათვის დამატებითი ფუნქციების შეთავსება, რაც საბოლოოდ აისახება მათ სახელფასო ანაზღაურებაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციას (დაწესებულება), ექსპერტს მონაწილეობა არ მიუღია.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ექსპერტების დასკვნები არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა